

ფარული მიყურადება

კონტრდუზვერვითი საქმიანობის ფარგლებში

ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი




სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

**ფარული მიყურადება კონტრაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში
(ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი)**

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი

2021



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

დოკუმენტის ავტორები: თამარ სამხარაძე, თორნიკე გერლიანი

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე

გარეკანის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო.

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი	4
1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინსტიტუციური ჩარჩო და პოლიტიზირება	6
2. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებლობა	7
3. ელექტრონული თვალთვალის განხორციელების საფუძვლები	11
4. ავტორიზაციის პროცედურა	12
4.1 წინასწარი სასამართლო კონტროლი	12
4.2 გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა	15
4.3 შეთანხმებული ელექტრონული თვალთვალი	16
5. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების ხანგრძლივობა	17
6. ინფორმაციის შენახვის, გადაცემისა და განადგურების წესი	19
6.1 ინფორმაციის შენახვა	19
6.2 ინფორმაციის გადაცემა	19
6.3 ინფორმაციის განადგურება	21
7. კონტროლის მექანიზმები	23
7.1 სასამართლო კონტროლი	23
7.2 საპარლამენტო კონტროლი	25
7.2.1. ნდობის ჯგუფი	27
7.2.2. ყოველწლიური ანგარიში	29
8. შეტყობინების ვალდებულება	30
9. სამართლებრივი დაცვის მექანიზმები	31
დასკვნა	32

შესავალი

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს ქართულ მედია საშუალებებს მიეწოდათ სასულიერო პირების, სამოქალაქო აქტივისტების, რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და სხვა პირების კერძო კომუნიკაციებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები (ე.წ. კრებსები),¹ რომლებიც *სავარაუდოდ ამჟღავნებს 2013-2021 წლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასობრივი უკანონო თვალთვალის პრაქტიკას.*² თავად კომუნიკაციის მონაწილე მხარეებმა, რომლებიც გაეცნენ მათთან დაკავშირებულ კრებსებს, ამოიცნეს თავიანთი პირადი საუბრები და დაადასტურეს მათი ავთენტურობა.³ გავრცელებული მასალების მოცულობის, მასშტაბისა და შინაარსიდან გამომდინარე, იკვეთება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის სავარაუდო სისტემური დანაშაული, რომლის ეფექტური გამოძიებაც სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, ხომ არ შეიცავს ფარული მიყურადების მომწესრიგებელი კანონმდებლობა სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავისთავად საფრთხეებს.

საქართველოში კერძო პირთა პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციების ფარული მიყურადების შესაძლებლობა გათვალისწინებულია ორი განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმით. **კონკრეტული დანაშაულის გამოძიების მიზნებისათვის** კერძო პირთა პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციების მონიტორინგის შესაძლებლობას ითვალისწინებს **საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი** (სსსკ), რომელიც განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს, მათი ჩატარების წესსა და საფუძვლებს.⁴ სსსკ-ით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს შორისაა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ასევე კავშირგაბმულობის არხიდან ან კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და

¹ სიახლე formulanews.ge-ზე: „გავრცელდა საიდუმლო ფაილები - სავარაუდოდ, სუს-ი მღვდელმთავრებს უსმენს“ 13 სექტემბერი 2021, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/56536>, წვდომის თარიღი: 01.12.2021; სიახლე tabula.ge-ზე: „რა უნდა იცოდეთ მასალებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, სუს-ის მიერ ფარული მიყურადებითაა მოპოვებული“, 13 სექტემბერი 2021, ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/ge/news/672924-ra-unda-itsodet-masalebze-romlebits-savaraudod>, წვდომის თარიღი: 30.11.2021; სტატია რადიო თავისუფლებაზე: „როგა სისტემა მოქმედებს ასე, 14 სექტემბერი 2021“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94-/31460194.html>, წვდომის თარიღი: 01.12.2021; სიახლე formulanews.ge-ზე: „სუს-ის მოსმენების გამო საქართველოს ელჩი ევროკავშირში ბრიუსელში დაიბარეს“ 22 სექტემბერი 2021, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/56998>, წვდომის თარიღი: 30.11.2021; ² სიახლე formulanews.ge-ზე: „გავრცელდა საიდუმლო ფაილები - სავარაუდოდ, სუს-ი მღვდელმთავრებს უსმენს“ 13 სექტემბერი 2021, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/56536>, წვდომის თარიღი: 02.12.2021; ³ სტატია ამერიკის ხმაზე „სუს-ის ტოტალური, უკანონო მოსმენების ტოტალური გაჟონვა, ხელმისაწვდომია: <https://www.amerikiskhma.com/a/Georgia-big-wiretapping-scandal/6230049.html>, წვდომის თარიღი: 29.11.2021; ⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI¹ თავი

ფიქსაცია.⁵ ამავე ღონისძიებების კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობა გათვალისწინებულია „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმადაც, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ასევე კავშირგაბმულობის არხიდან ან კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია ამ კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების, ელექტრონული თვალთვალის სახეებია.⁶

12 სექტემბერს გავრცელებულ პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველ მასალებთან დაკავშირებით, დღემდე არ იკვეთება პირთა მასობრივი ფარული მიყურადების სამართლებრივი საფუძვლები. საგამოძიებო ორგანოებმა და სახელმწიფო ინსპექტორმა არ დაადასტურეს კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით ისეთი სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიმდინარეობა, რომელიც შექმნიდა მათ მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების საფუძველს.⁷ ამ პირობებში, იქმნება ვარაუდი, რომ მასალებში ასახულ პირთა კომუნიკაციების მონიტორინგი განხორციელდა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს ფარული მიყურადების უფრო ფართო სამართლებრივ საფუძვლებს.

წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებული იქნება სწორედ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ელექტრონული თვალთვალის ჩატარების უფლებამოსილება. კერძოდ, რამდენად შეიცავს ელექტრონული თვალთვალის არსებული სამართლებრივი რეჟიმი პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის საკმარის გარანტიას ღონისძიების დაწყების, მიმდინარეობისა და დასრულების ეტაპებზე. ამ კონტექსტში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ელექტრონული თვალთვალის დაწყების საფუძვლების, ფარგლებისა და პროცედურის, ღონისძიების ხანგრძლივობის, თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვის, გადაცემის და განადგურების წესების, მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლისა და უფლების დაცვის მექანიზმების შეფასება.⁸ დოკუმენტში ასევე კრიტიკულად იქნება შეფასებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინსტიტუციური მოწყობა, მისი დამოუკიდებლობის გარანტიები და ანგარიშვალდებულების სისტემა.

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები

⁶ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი

⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 5 ნომბრის წერილი

⁸ ამ სტანდარტებით ამოწმებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ფარული მიყურადების სამართლებრივი რეჟიმების შესაბამისობას ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლიდან (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება). მაგალითისთვის, იხილეთ: Roman Zakharov v. Russia, no. 47143/06, 4 December 2015, §§ 233 და 238

1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინსტიტუციური ჩარჩო და პოლიტიზირება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სამსახური) არის მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში შემავალი სპეციალური დანიშნულების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.⁹ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აქვს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციისა და კოორდინაციის ექსკლუზიური უფლებამოსილება.¹⁰ სამსახურის კომპეტენციაშია ქვეყნის სუვერენიტეტისა და კონსტიტუციური წყობილების, ასევე ტერიტორიული მთლიანობის და სამხედრო პოტენციალის დაცვა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერორიზმთან, კორუფციასთან და ისეთ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლა, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას.¹¹ აღნიშნული ფუნქციების შესრულების მიზნით, სამსახური ეწევა საგამოძიებო, პრევენციულ და კონტრდაზვერვით საქმიანობას, აგრეთვე მოიპოვებს ინფორმაციას ღია და ფარული წყაროებიდან და ატარებს ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებებს, მათ შორის ელექტრონულ თვალთვალს.¹²

ის ფაქტი, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს სამინისტროს სტატუსი არ აქვს და უწყება ფორმალურად არ შედის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს მთლიანად პროფესიულ სამსახურთან, რომელიც დაცლილია პოლიტიკური თუ პარტიული ინტერესებისა და გავლენებისგან.

უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის **შერჩევა-დანიშვნის პროცესი** მხოლოდ ფასადურად შეიცავს პროფესიულ კომპონენტს და რეალურად, ამ საკითხზე გადაწყვეტილება მთლიანად პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და ინტერესების გათვალისწინებით მიიღება. სამსახურის უფროსის პროფესიული კრიტერიუმები მინიმალურია და კანონი მხოლოდ იმას ადგენს, რომ ამ თანამდებობის დასაკავებლად პირი უნდა იყოს მინიმუმ 35 წლის, ჰქონდეს რომელიმე სამართალდამცავი ორგანოს ნებისმიერი დონეზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, იცოდეს ქართული ენა და იყოს საქართველოს მოქალაქე.¹³ ამავდროულად, სამსახურის უფროსის შერჩევის პროცედურა მთლიანად პოლიტიკურ ფორმატში მიმდინარეობს: პრემიერ-მინისტრი მთავრობას წარუდგენს სამსახურის უფროსის კანდიდატურას, ხოლო მთავრობა - პარლამენტს.¹⁴

⁹ „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი

¹⁰ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი

¹¹ „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

¹² „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი

¹³ „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტი.

¹⁴ „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

ამ პროცესში სრულადაა იგნორირებული კანდიდატის პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის, აგრეთვე მისი პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის შემოწმების აუცილებლობა. კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით იღებს.¹⁵ შესაბამისად, კანდიდატის ნომინირების და მისი თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებას მმართველი პოლიტიკური გუნდი აბსოლუტურად დამოუკიდებლად იღებს, რა დროსაც გარეშე პირების, ან ოპოზიციური სპექტრის არათუ სავალდებულო თანხმობის, არამედ კონსულტირების შესაძლებლობაც კი არა არის გათვალისწინებული.

ასევე პოლიტიზირებულია სამსახურის უფროსის **თანამდებობიდან გადაყენების საკითხი** და ამ შემთხვევაშიც, საპარლამენტო უმრავლესობას მარტივად, სამართლებრივი დასაბუთების გარეშე შეუძლია მიიღოს ამ საკითხზე გადაწყვეტილება უბრალო უმრავლესობით. საკითხის ინიცირება შეუძლია როგორც პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს, ისე მთავრობას.¹⁶ აქვე აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიმართ არ ვრცელდება იმპიჩმენტის პროცედურა, რომელიც არის პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთგვარი ნაზავი და რომელიც, უკეთ უზრუნველყოფს კონკრეტული თანამდებობის პირის დამოუკიდებლობასა და ხელშეუხებლობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს ცენტრალიზებულ, მკაცრი იერარქიის მქონე ინსტიტუციას**. სამსახურის უფროსს აქვს ფაქტობრივად შეუზღუდავი კომპეტენცია ზოგად-უწყებრივ და მმართველობით საკითხებზე, აგრეთვე ინდივიდუალური შემთხვევების გადაწყვეტის თაობაზე და ადმინისტრაციულ საკითხებზე.¹⁷ შესაბამისად, უწყების სათავეში მყოფი პირი, რომელიც შერჩეულია პოლიტიკური ლოიალურობის მიხედვით და რომლის თანამდებობაზე ყოფნაც ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიიღებს ის პოლიტიკურად არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს, ფაქტობრივად სრულად აკონტროლებს მთლიანი უწყების საქმიანობას.

2. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებლობა

თავის მხრივ, სამსახურის მმართველობის სფეროში შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ოპერატიულ ტექნიკური სამსახური (სააგენტო),¹⁸ რომელიც არის ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების უშუალო ჩატარებაზე უფლებამოსილი

¹⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 183-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები

¹⁷ „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

¹⁸ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი

ორგანო.¹⁹ სააგენტო ფლობს კომუნიკაციების მონიტორინგისთვის აუცილებელ ტექნიკურ ინფრასტრუქტურასა და პროგრამულ უზრუნველყოფას²⁰ და უზრუნველყოფს ელექტრონული თვალთვალის შედეგად ინფორმაციის მოპოვებას, მოპოვებული ინფორმაციის შენახვას, დახარისხებას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გადაცემას ან/და განადგურებას.²¹

ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოს აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული კომუნიკაციის შინაარსის და მისი მაიდენტიფიცირებადი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული (წინასწარ განსაზღვრული არქიტექტურითა და დადგენილი ინტერფეისებით), ნახევრად სტაციონარული ან არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენების უფლებამოსილება²² სააგენტოს შეუძლია კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებადი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების მიზნით ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე დაამონტაჟოს აპარატული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები, ან და მიერთების გარეშე გამოიყენოს სპეციალური ტექნიკური ან/და პროგრამული საშუალებები.²³ კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურა და ინტერფეისები, ასევე კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის შინაარსის და მისი მაიდენტიფიცირებადი მონაცემების მოპოვების წესი და პროცედურა განისაზღვრება თავად სააგენტოს ნორმატიული აქტებით,²⁴ რომლებიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ამასთან, სააგენტო არ არის ვალდებული კომუნიკაციების მონიტორინგის განხორციელებამდე ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიას წარუდგინოს ელექტრონული თვალთვალის ჩატარების თაობაზე მოსამართლის ბრძანება, რომელიც ასევე საიდუმლო დოკუმენტია.²⁵

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ კომუნიკაციების რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის სრული დახურულობის პირობებში, მაღალია სააგენტოს მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების გვერდის ავლით

¹⁹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი

²⁰ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, მე-2 პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტი

²¹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავი

²² „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი; მე-5 და მე-6 პუნქტები; „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ“³⁵⁶ „ჰ“³⁵⁸ ქვეპუნქტები

²³ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8¹ მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი

²⁴ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8¹ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

²⁵ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი

ინფორმაციის მოპოვების რისკი. ამგვარი საფრთხე განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ პირობებში, რომ სააგენტო ვერ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის მოთხოვნებს და **როგორც ინსტიტუციურად, ისე პრაქტიკულად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან მჭიდროდ დაკავშირებულ უწყებას წარმოადგენს.**

სააგენტოს **უფროსს ნიშნავს** პრემიერ-მინისტრი სპეციალური კომისიის წარდგინებით. თუმცა, სპეციალურ კომისიას სააგენტოს უფროსის თანამდებობის სამ კანდიდატურას წარუდგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.²⁶ გარდა ამისა, სპეციალური კომისიის 7 წევრიდან ერთი თავად სამსახურის უფროსია, ერთი მთავრობის წარმომადგენელი, ხოლო 3 წარმოადგენს საპარლამენტო უმრავლესობას (საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე). მსგავსად, სააგენტოს **უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლება შეუძლია** პრემიერ-მინისტრს, სამსახურის უფროსის წარდგინებით, მათ შორის ისეთი ზოგადი საფუძვლით, როგორიცაა მისთვის კანონით დაკისრებული უფლებამოსილებების ჯეროვნად შეუსრულებლობა.²⁷ ამრიგად, სააგენტოს უფროსის დანიშვნა-გათავისუფლების პროცესში წამყვანი როლი ეკისრება სამსახურის უფროსსა და მმართველ პოლიტიკურ პარტიას. ამ პროცესში პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა ნომინალურია, რადგან იგი შებოჭილია მისთვის წარდგენილი კანდიდატურის დანიშვნის ან/და სააგენტოს უფროსის გათავისუფლების წინადადებების აღსრულებით.

სააგენტოზე სახელმწიფო **კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.²⁸ სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სააგენტოს საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკურ ზედამხედველობას, რომლის ფარგლებშიც, სამსახურის უფროსი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილებები.²⁹ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ მინისტრის წინაშე, სააგენტოს უფროსი პრემიერ მინისტრისათვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენამდე, ამ ანგარიშს წარუდგენს სამსახურის უფროსი.³⁰

²⁶ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი

²⁷ იქვე

²⁸ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-29 მუხლი

²⁹ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი

³⁰ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი

გარდა ამისა, სამსახურის უფროსი განსაზღვრავს სააგენტოს **საფინანსო, სტრუქტურულ და საკადრო პოლიტიკას**. სამსახურის უფროსი ამტკიცებს სააგენტოს ბიუჯეტს,³¹ განსაზღვრავს სააგენტოს ძირითად სტრუქტურას და სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციას,³² თანხმობას გასცემს სააგენტოს შიდა სტრუქტურის, სამტატო ნუსხისა და სააგენტოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებაზე³³ და სახელმწიფო ჯილდოზე წარადგენს სააგენტოს მოსამსახურეებს.³⁴ სამსახურისა და სააგენტოს მჭიდრო ინსტიტუციურ კავშირს გამოხატავს ასევე ის ფაქტი, რომ მათი ოფისები განთავსებულია ერთსა და იმავე მისამართზე. ამ პირობებში, ცხადია, რომ სააგენტო ვერ ჩაითვლება სამსახურისგან დამოუკიდებელ, ნეიტრალურ ორგანოდ, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური გავლენებისგან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან მიმართებით ერთხელ უკვე მიუთითა, რომ იგი წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვებაზე და დამუშავებაზე **პროფესიულად დაინტერესებულ ორგანოს**. ამის გამო, სასამართლომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხის შემცველად მიიჩნია სამსახურის ხელში ინფორმაციის შეუზღუდავი და დაუბალანსებელი ტექნიკური შესაძლებლობის თავმოყრა.³⁵ სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ შეიქმნა სააგენტო, როგორც ელექტრონული თვალთვალის აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო. თუმცა, სამსახურსა და სააგენტოს შორის არსებული მჭიდრო ინსტიტუციური კავშირიდან გამომდინარე, კვლავ აქტუალურია პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკები. ამიტომ, არსებითად მნიშვნელოვანია კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სააგენტოს მიერ კანონის გვერდის ავლით ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების, სამსახურსა და სააგენტოს შორის ინფორმაციის უკანონო გაცვლის რისკებისაგან დაცვის ადეკვატურ საშუალებებს.

³¹ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი

³² „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

³³ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი

³⁴ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

3. ელექტრონული თვალთვალის განხორციელების საფუძვლები

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი განსაზღვრავს კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური ღონისძიებების, მათ შორის ელექტრონული თვალთვალის განხორციელების საფუძვლებს.³⁶

ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის შექმნილი შესაძლო საფრთხის შესახებ მონაცემების არსებობა. ამრიგად, *კანონი არ ითვალისწინებს იმ კონკრეტულ დანაშაულთა ჩამონათვალს*, რომელთა დაკავშირებითაც შესაძლებელია ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების გამოყენება და უთითებს მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის შექმნილ საფრთხეზე. ამასთან, კანონი არ განმარტავს *სახელმწიფო უსაფრთხოების ცნებას* და არ აკონკრეტებს თუ რა ტიპის/მასშტაბის საფრთხეა საუბარი ან/და რამდენად რეალური/მყისიერი უნდა იყოს ასეთი საფრთხის დადგომის შესაძლებლობა. გარდა ამისა, გაუგებარია, ვისგან მომდინარე საფრთხე შეიძლება გახდეს ელექტრონული თვალთვალის დაწყების საფუძველი და *რა კატეგორიის პირები შეიძლება გახდნენ თვალთვალის ობიექტები*. კანონი არ ითვალისწინებს არც თვალთვალის დასაწყებად საჭირო მტკიცებულებით სტანდარტს, სსსკ-ისგან განსხვავებით, რომელიც მოითხოვს კონკრეტული პირის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის არსებობას.³⁷ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, თვალთვალის დასაწყებად საკმარისია მხოლოდ მონაცემები ისეთი ფაქტებისა და მოვლენების (ან მათი ნიშნების) შესახებ რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოებას უქმნიან საფრთხეს.³⁸

ელექტრონული თვალთვალი შეიძლება დაიწყოს ასევე: 1. საქართველოს პირის უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან კავშირის შესახებ მონაცემების საფუძველზე; 2. სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან ან/და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების მომზადებასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებული უცხო ქვეყნის წარმომადგენლის შესახებ მონაცემების, ან ასეთი ვარაუდის არსებობის საფუძველზე.³⁹ ამ შემთხვევებშიც, ბუნდოვანია ელექტრონული თვალთვალის დაწყების მტკიცებულებითი სტანდარტი და იმ დანაშაულთა და პირთა კატეგორია, რომელთა დაკავშირებითაც დაიშვება ელექტრონული თვალთვალის განხორციელება.

ამ პირობებში, კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს *ნებისმიერი პირის მიმართ ფართო და ბუნდოვანი საფუძვლებით*. აღნიშნული კი უტოლდება სახელმწიფო უსაფრთხოების

³⁶ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი

³⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

³⁸ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის-ს „ა“ ქვეპუნქტი

³⁹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები

სამსახურისთვის განუსაზღვრელი დისკრეციის მინიჭებას გადაწყვიტოს რა ფაქტები და გარემოებები უქმნიან საფრთხეს სახელმწიფო უსაფრთხოებას და არის თუ არა ეს საფრთხე საკმარისად სერიოზული ელექტრონული თვალთვალის დაწყების გასამართლებლად.

4. ავტორიზაციის პროცედურა

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, ელექტრონული თვალთვალის განხორციელება შესაძლებელია სასამართლოს **წინასწარი თანხმობით**.⁴⁰ **გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში**, ელექტრონული თვალთვალი შესაძლოა დაიწყოს მოსამართლის თანხმობის გარეშე, თუმცა, ასეთი თანხმობის მოპოვება აუცილებელია ღონისძიების დაწყებიდან **არაუგვიანეს 48 საათისა**.⁴¹ იმისთვის, რომ შეფასდეს რამდენად ასრულებს ელექტრონული თვალთვალის განხორციელებაზე სასამართლო ნებართვის გათვალისწინება სამსახურის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილების ფუნქციას, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს სასამართლო კონტროლის ფარგლები და პრაქტიკული ეფექტურობა.

4.1 წინასწარი სასამართლო კონტროლი

ელექტრონული თვალთვალის განხორციელების შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა⁴² შუამდგომლობით უნდა მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და დაასაბუთოს ღონისძიების განხორციელების **საფუძვლები**.⁴³ შუამდგომლობით ასევე უნდა დასაბუთდეს, რომ ღონისძიების განხორციელება დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად **აუცილებელი** და **პროპორციული** საშუალებაა, და რომ კონტრდაზვერვითი ინფორმაცია⁴⁴ ღონისძიების განხორციელების გარეშე ვერ მოიპოვება.⁴⁵ ელექტრონული თვალთვალის განხორციელების შესახებ შუამდგომლობის შეტანისას აუცილებელი არ არის საკითხის

⁴⁰ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი

⁴¹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი

⁴² ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის უფლებამოსილება აქვთ სპეციალურ სამსახურებს, რომელთა ნუსხაც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით და მოიცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს - კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ და „ტ“ ქვეპუნქტები; კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის სპეციალური სამსახურების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის N448 დადგენილება.

⁴³ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი

⁴⁴ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, კონტრდაზვერვითი ინფორმაცია - მონაცემები, რომლებიც ასახავს უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობას და მათთან დაკავშირებულ გარემოებებს

⁴⁵ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი

გადასაწყვეტად საჭირო დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, თუმცა, მოსამართლეს უფლება აქვს თავისი ინიციატივით გამოითხოვოს ასეთი ინფორმაცია.⁴⁶

ელექტრონული თვალთვალის განხორციელების თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობაში ასევე აუცილებელია მიეთითოს მონაცემები ელექტრონული თვალთვალის კონკრეტული ობიექტისა და მისი საკომუნიკაციო აღჭურვილობის შესახებ. თუმცა, *თვალთვალის ობიექტის შესახებ მონაცემების მითითება სავალდებულო არ არის კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნის და ფიქსაციის შემთხვევაში, თუ ღონისძიების მიზანი კონკრეტული პირის იდენტიფიცირებაა.*⁴⁷ ეს ჩანაწერი ცხადყოფს, რომ კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია შესაძლოა განხორციელდეს განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ, რაც მას მასიური თვალთვალის ინსტრუმენტად აქცევს. კანონმდებლობა დუმს იმის შესახებ, თუ რა გზით და მეთოდით ხდება ამ ფორმით ინფორმაციის მოპოვების შემდეგ კონკრეტული პირების იდენტიფიცირება და პირად ცხოვრებაში ჩარევის ასეთი ფართო შესაძლებლობის რისკების დაზღვევა.

განსხვავებით სსსკ-სგან, რომელიც საგამოძიებო ორგანოებს ავალდებულებს მაქსიმალურად შეზღუდონ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვს,⁴⁸ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს ასეთ დამზღვევ დებულებას. კანონი მხოლოდ მიუთითებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, *მოსამართლის ბრძანება დამატებით უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ პირების თაობაზე, რომლებზეც ვრცელდება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება.*⁴⁹ მოსამართლის ბრძანებაში მხოლოდ ასეთი პირების ვინაობის მითითება, კონტრდაზვერვითი საქმიანობისათვის არარელევანტური კომუნიკაციების მონიტორინგის მინიმუმამდე დაყვანის ვალდებულების გარეშე, საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მათ პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვას.

სსსკ ასევე შეიცავს სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტის და და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სპეციალურ შეზღუდვებს⁵⁰ ამ პირთა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის მიზნით. თუმცა, მსგავს შეზღუდვას არ ცნობს კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კომუნიკაციების დაცვის მაღალ

⁴⁶ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი

⁴⁷ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები

⁴⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁷ მუხლის 1-ლი ნაწილი

⁴⁹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი

⁵⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁷ მუხლის მე-2 ნაწილი

სტანდარტს ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.⁵¹ მაგალითად, სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან ფარული მიყურადების განხორციელებისას, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელზე ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის სხვა კომუნიკაციებისაგან გამიჯვნის უფლებამოსილების გადანდობა ვერ უზრუნველყოფდა ამ ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვის საკმარის გარანტიას.⁵² კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონით, *არათუ დამოუკიდებელ ორგანოს, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელსაც კი არ ევალება სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტის და დიპლომატის მქონე პირის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კომუნიკაციის გამიჯვნა, სხვა კომუნიკაციებისაგან, რაც ზრდის განსაკუთრებული დაცვის ღირსი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკებს*. აღნიშნული რისკების რეალურობა ცხადი გახდა 12 სექტემბერს გავრცელებული მასალებიდან, რომელიც უთითებს სწორედ სასულიერო პირების, ადვოკატების, ჟურნალისტებისა და დიპლომატების კომუნიკაციების მონიტორინგზე.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, მოსამართლე ღონისძიების განხორციელების ნებართვას გაცემს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ არსებობს შესაბამისი **ობიექტური საფუძველი** და დაკმაყოფილებულია შუამდგომლობის წარდგენის პირობები.⁵³ ღონისძიების განხორციელების ობიექტური საფუძველი განსხვავდება ღონისძიების განხორციელების აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტიდან. შესაბამისად, ბუნდოვანია, თუ რა სტანდარტით ხელმძღვანელობს მოსამართლე ელექტრონული თვალთვალის ნებართვის გაცემისას. ღონისძიების განხორციელების აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასების კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ ზედმეტად ფართო და განუსაზღვრელია ელექტრონული თვალთვალის განხორციელების კანონისმიერი საფუძვლები.

მოსამართლის ბრძანება, ისევე როგორც ელექტრონული თვალთვალის განხორციელების თაობაზე სამსახურის შუამდგომლობა და სხვა დაკავშირებული დოკუმენტები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას.⁵⁴ ამ პირობებში, რთულია ელექტრონული თვალთვალის განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის პრაქტიკული ეფექტურობის შემოწმება. თუმცა, მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემდა ისეთი სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება, როგორიცაა ელექტრონული თვალთვალის განხორციელების შესახებ უზენაეს სასამართლოში წარგენილი შუამდგომლობების დაკმაყოფილების პროცენტული

⁵¹ Iordachi and Others v. Moldova, no. 25198/02, 14 September 2009, §50

⁵² Kopp v. Switzerland, no. 13/1997/797/1000, 25 March 1998, §§72-75

⁵³ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი

⁵⁴ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი

მაჩვენებელი, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები, ასევე მოსამართლის მიერ სამსახურისგან საკითხის გადასაწყვეტად საჭირო დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევები. კერძოდ, ეს ინფორმაცია შექმნიდა სურათს იმის შესახებ, სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებები შემოიფარგლება მხოლოდ ელექტრონული დვალთვალის ღონისძიების განხორციელების ფორმალური საფუძვლების შემოწმებით, თუ სასამართლო ასევე აფასებს ღონისძიების ჩატარების აუცილებლობასა და პროპორციულობას.

სამწუხაროდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა სოციალური სამართლიანობის ცენტრისათვის ზემოაღნიშნული საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე იმ საფუძვლით, რომ იგი მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას.⁵⁵ ამის საპირისპიროდ, საჯარო სტატისტიკური მონაცემები სსსკ-ის ფარგლებში ჩატარებულ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით.⁵⁶ გაუგებარია, თუ რა ინტერესს ემსახურება კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული ელექტრონული თვალთვალის შესახებ განზოგადებული სტატისტიკური მონაცემების გასაიდუმლოება. **ინფორმაციის ამგვარი დახურულობის პირობებში, შეუძლებელი ხდება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის ეფექტურობის შეფასება.**

4.2 გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის აუცილებელი, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება, სამსახურის უფროსს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება ღონისძიების წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე დაწყების შესახებ.⁵⁷ სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება წარედგინება ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს მის განხორციელებას. ელექტრონული თვალთვალის **დაწყებიდან არაუმეტეს 24 საათში.** სამსახურის უფროსის უფლებამოსილი წარმომადგენელი უზენაეს სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით, რომელშიც, ზოგადი წესით გათვალისწინებულ მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს ის გარემოებები, რომლებმაც განაპირობა ღონისძიების გადაუდებლად დაწყება.⁵⁸

⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის წერილი

⁵⁶ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მონაცემების არქივი, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/farulebi>

⁵⁷ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი

⁵⁸ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი

ზედამხედველი მოსამართლე გადაუდებლად დაწყებული ელექტრონული თვალთვალის კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს მისი წარდგენიდან **არაუგვიანეს 24 საათისა**. მოსამართლეს უფლება აქვს, გადაწყვეტილების მისაღებად ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსგან წერილობით გამოითხოვოს გამოითხოვის მომენტისთვის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომლის გაცნობის შემდეგ უზრუნველყოფს მის დადგენილი წესით განადგურებას.⁵⁹

ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაწყებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მიღებულ ინფორმაციას სამსახურის წარმომადგენელს გადასცემს მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. თუ მოსამართლე არ დააკმაყოფილებს სამსახურის შუამდგომლობას ელექტრონული თვალთვალი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია უნდა განადგურდეს.⁶⁰ ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოს ზედამხედველი მოსამართლის ბრძანება, უნდა წარედგინოს ელექტრონული თვალთვალის დასრულებიდან ან შეწყვეტიდან 10 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ნადგურდება და დგება შესაბამისი ოქმი.⁶¹

გამომდინარე იქიდან, რომ მოსამართლის ნებართვის გარეშე დაწყებული ელექტრონული თვალთვალის კანონიერების საკითხი მისი დაწყებიდან არაუმეტეს 48 საათში წყდება, მის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია უნდა განადგურდეს ამ ვადის ამოწურვისთანავე, თუ სააგენტოს არ წარედგინება მოსამართლის ნებართვა ელექტრონული თვალთვალის ჩატარების თაობაზე. უკანონო ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვა გაზრდის ამ ინფორმაციის ოპერატიული ტექნიკური სააგენტოდან სამსახურის სხვა დანაყოფებში გადინების რისკებს.

4.3 შეთანხმებული ელექტრონული თვალთვალი

აღსანიშნავია, რომ ზოგადი წესის მიღმა, კანონი ითვალისწინებს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, სამსახური ელექტრონული კავშირის **ერთ-ერთი მონაწილე მხარის წერილობითი თანხმობით** განახორციელოს ელექტრონული თვალთვალი, რომელიც

⁵⁹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი

⁶⁰ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი

⁶¹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14³ მუხლი ს მე-2 პუნქტი

მიმართულია კონტრდაზვერვითი ინფორმაციის⁶² მოპოვებისკენ.⁶³ კანონმდებლობის სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთ შემთხვევაში *ელექტრონული თვალთვალის განხორციელება ხდება სასამართლოს გვერდით ავლით*, რაც ქმნის პირის უფლების თვითნებური და გაუმართლებელი შეზღუდვის შესაძლებლობას. მხარემ შესაძლოა თანხმობა განაცხადოს საკუთარი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რა შემთხვევაშიც, საერთოდ აღარ დგება ელექტრონული თვალთვალის ჩატარების საჭიროება. თუმცა, მხოლოდ კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის საფუძველზე ელექტრონული თვალთვალის ჩატარება, ხელყოფს იმ მხარეთა უფლებებს, რომლებიც არ არიან ინფორმირებულნი მათი კომუნიკაციების მონიტორინგის თაობაზე. იმისთვის, რომ დაცული იყოს კომუნიკაციის ყველა მხარის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, *მნიშვნელოვანია, სასამართლო კონტროლი უგამონაკლისოდ გავრცელდეს პირის მიმართ განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ნებისმიერ შემთხვევაზე*. აღნიშნულ საკითხზე სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ კიდევ 2015 წელს მიმართა, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული.⁶⁴

5. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების ხანგრძლივობა

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების თავდაპირველი ნებართვა გაიცემა იმ ვადით, რომელიც **აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად, მაგრამ არა უმეტეს 90 დღისა**.⁶⁵ ამ ვადის შემდგომი გაგრძელება შესაძლებელია განუსაზღვრელად, **თითოეულ ჯერზე არა უმეტეს 12 თვისა**.⁶⁶

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განსახორციელებლად კანონით დაშვებული ხანგრძლივობა საგრძნობლად აღემატება სსსკ-ით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის განსაზღვრულ ვადებს. კერძოდ, სსსკ-ს თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების თავდაპირველი ნებართვა გაიცემა არაუმეტეს 1 თვის ვადით, მისი შემდგომი გაგრძელება, დასაშვებია კიდევ ორი თვით, ამის შემდეგ კიდევ სამი თვით, ვადის შემდგომი გაგრძელება კი

⁶² „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, კონტრდაზვერვითი ინფორმაცია – მონაცემები, რომლებიც ასახავს უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობას და მათთან დაკავშირებულ გარემოებებს;

⁶³ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი

⁶⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს N1/19/690 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქეები გურამ იმნაძე და სოფიკო ვერძელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=927>

⁶⁵ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი

⁶⁶ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი

დაუშვებელია.⁶⁷ ჯამში, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების მაქსიმალური ვადაა 6 თვე. ამასთან, ვადის გაგრძელების მოთხოვნისას, პროკურორი ვალდებულია მიუთითოს დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და დაასაბუთოს, თუ რატომ ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება.⁶⁸ მსგავს ვალდებულებას არ ითვალისწინებს კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი, რაც ამარტივებს სამსახურის მიერ ვადის გაგრძელების მოთხოვნას.

ზედამხედველ მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება სამსახურს მოსთხოვოს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციისა და ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის წარდგენა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი, მოითხოვოს ღონისძიების შეწყვეტა, თუ მიიჩნევს, რომ ობიექტურად შეუძლებელია კონკრეტული ამოცანის შესრულება ან ღონისძიების განხორციელებას კონტრდაზვერვითი ინფორმაციის მოპოვებისთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.⁶⁹ ინფორმაციის დახურულობის პირობებში, შეუძლებელია დადგინდეს, რამდენად იყენებს მოსამართლე აღნიშნულ უფლებამოსილებას. თუმცა, ის ფაქტი, რომ ამ უფლებამოსილების განხორციელება დამოკიდებულია მოსამართლის პრაქტიულ ქმედებაზე, თავისთავად ამცირებს მისი, როგორც უფლების დაცვის გარანტიის ეფექტურობას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია პრაქტიკული შეზღუდვა სასამართლოს მხრიდან ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შეწყვეტის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ექსპერტიზისა და ამისთვის სპეციალურად მომზადებული ადამიანური რესურსის ნაკლებობის თვალსაზრისით.

თითოეულ ჯერზე ღონისძიების 12 თვის ვადით გაგრძელების შესაძლებლობა ხანგრძლივი დროით ტოვებს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებას სასამართლო კონტროლის მიღმა. განსაკუთრებით საგანგაშოა იმ შესაძლებლობის დაშვება, რომ პირი წლების განმავლობაში იმყოფებოდეს ელექტრონული თვალთვალის ქვეშ, ყოველგვარი ზედა ზღვრის დაწესების გარეშე. კიდევ უფრო პრობლემურია შეთანხმებული ელექტრონული თვალთვალის ხანგრძლივობა, რადგან ამ შემთხვევაში არ არის დადგენილი თითოეულ ჯერზე ღონისძიების გაგრძელების მაქსიმალური ვადაც კი.⁷⁰

⁶⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-12 ნაწილი

⁶⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-12 ნაწილი

⁶⁹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁵ მუხლის 1-ლი პუნქტი

⁷⁰ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი

6. ინფორმაციის შენახვის, გადაცემისა და განადგურების წესი

ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის **შენახვის, გაცემისა და განადგურების წესი** განისაზღვრება ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოს ნორმატიული აქტებით, რომლებიც არ არის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.⁷¹ შესაბამისად, ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შემდგომ დამუშავებასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ თავად კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონით გათვალისწინებულ ზოგად დათქმებზე დაყრდნობით.

6.1 ინფორმაციის შენახვა

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, ელექტრონული თვალთვალის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაცნობა და დამუშავება ხდება ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ სპეციალურად გამოყოფილ, შეზღუდული დაშვების არეალებში, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს.⁷² თუმცა, გაურკვეველია, ვის აქვს ელექტრონული თვალთვალის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაშვება ან რა მოთხოვნებია გათვალისწინებული ამ ინფორმაციის უსაფრთხოების დასაცავად. 12 სექტემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან სავარაუდო ფარული მოსმენების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაჟონვის ფაქტი ხაზს უსვამს ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის ადეკვატური გარანტიების არსებობის საჭიროებას.

6.2 ინფორმაციის გადაცემა

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი ითვალისწინებს სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანოსათვის ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემისა და მისი **სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას**.⁷³ სამსახურის უფროსი საგამოძიებო ორგანოსათვის ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ:

ა) ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემის მიზანია საქართველოს

⁷¹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14³ მუხლის მე-5 პუნქტი

⁷² „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14² მუხლის 1-ლი პუნქტი

⁷³ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁸ მუხლის მე-3 პუნქტი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით⁷⁴ გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიება ან დანაშაულის გამოძიების დაწყება;

ბ) ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა განპირობებულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და ამ მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა;

გ) გადასაცემ ინფორმაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისთვის ან გამოძიების დაწყებისთვის და მისი სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.⁷⁵

კანონის ეს დანაწესი ეწინააღმდეგება ამავე კანონის დათქმას, რომლის თანახმადაც, კონტრდაზვერვითი საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების მიზნით და იგი არ შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი.⁷⁶

მოსამართლე, რომელიც გასცემს ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ნებართვას, ამოწმებს ღონისძიების ჩატარების საფუძვლებს კონტრდაზვერვითი საქმიანობის, და არა სისხლისსამართლებრივი საქმის გამოძიების მიზნებისთვის. შესაბამისად, *კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამოძიებისათვის, სცდება ღონისძიების განხორციელების თავდაპირველ მიზანს*. გასათვალისწინებელია, რომ ზედმეტად ფართოა იმ სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა გამოძიების მიზნითაც დაშვებულია ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა და მოიცავს ისეთ ქონებრივ დანაშაულებსაც კი, როგორიცაა

⁷⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი: „ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებითა და თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143³ მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 259⁴ მუხლი, 284-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილები, 286¹ მუხლის პირველი ნაწილი, 286² მუხლის პირველი ნაწილი, 287-ე მუხლი, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე-302-ე მუხლები, 303-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე-306¹ მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322¹ მუხლი, XXXIX თავი, 344² მუხლის პირველი ნაწილი;”

⁷⁵ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁸ მუხლის მე-2 პუნქტი

⁷⁶ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი

მაგალითად თაღლითობა,⁷⁷ ნივთის დაზიანება ან განადგურება,⁷⁸ ყალბი საკრედიტო ბარათის დამზადება⁷⁹ და ა.შ.

სსსკ განსაზღვრავს პირის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მეტ გარანტიას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემა კი ქმნის ამ გარანტიების გვერდის ავლისა და ნაკლებად მკაცრი სტანდარტით მოპოვებული ინფორმაციის სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო ორგანოებისათვის ინფორმაციის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ აღმოჩნდეს ერთპიროვნულად სამსახურის უფროსის ხელში და მასზე განხორციელდეს სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს კონტროლი.

6.3 ინფორმაციის განადგურება

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი ითვალისწინებს ელექტრონული თვალთვალის შედეგად მიღებული ინფორმაციის დახარისხების ვალდებულებას კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის ღირებულების მქონე და ასეთი ღირებულების არმქონე ინფორმაციებად. ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო ვალდებულია ამგვარად გამიჯნოს ინფორმაცია ელექტრონული თვალთვალის განხორციელებისას და **ღირებულების არმქონე ინფორმაცია განადგუროს დადგენილი პერიოდულობით.**⁸⁰ თუმცა, ბუნდოვანია, რას გულისხმობს კონტრდაზვერვითი საქმიანობისთვის ღირებულების მქონე ინფორმაცია და რა პერიოდულობით უნდა მოხდეს ღირებულების არმქონე ინფორმაციის განადგურება. ელექტრონული თვალთვალის დონისძიების შედეგად მიღებული ინფორმაციის დახარისხების წესი, პროცედურა და ტექნიკურ-ორგანიზაციულ დონისძიებათა კომპლექსი განისაზღვრება სააგენტოს ნორმატიული აქტით, რაც ისევ და ისევ, არასაჯარო დოკუმენტია.⁸¹

ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ინახავს დონისძიების დასრულებიდან ან შეწყვეტიდან 10 დღის განმავლობაში. სამსახური ვალდებულია აღნიშნულ ვადაში უზრუნველყოს მოპოვებული ინფორმაციის გატანა უფლებამოსილი ორგანოდან. ამ ვადის გასვლის

⁷⁷ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი

⁷⁸ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი

⁷⁹ სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლი

⁸⁰ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14² მუხლის მე-2 პუნქტი

⁸¹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14² მუხლის მე-2 პუნქტი

შემდეგ სააგენტო ანადგურებს ღონისძიების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, რაც აღინიშნება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების ოქმში.⁸² ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო ასევე უზრუნველყოფს ზედამხედველი მოსამართლის ბრძანების ან სამსახურის ხელმძღვანელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, შეწყვეტილი ღონისძიების შედეგად მოპოვებული/მიღებული ინფორმაციის განადგურებას - თუ ღონისძიება შეწყდა იმ გარემოებების გამოვლენის გამო, რომლებიც ადასტურებს, რომ მოსამართლის ბრძანებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ღონისძიების განხორციელებას კონტრდაზვერვითი ინფორმაციის მოპოვებისთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. ინფორმაციის განადგურების შესახებ აღინიშნება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების ოქმში.⁸³

მაშინ, როდესაც კანონი შეიცავს სააგენტოს მიერ ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების შესახებ მინიმალურ წესებს მაინც, *მოწესრიგების მიღმა რჩება ინფორმაციის შენახვისა და განადგურების საკითხი ამ ინფორმაციის სამსახურისთვის გადაცემის შემდეგ*. კანონი ითვალისწინებს სამსახურის ერთადერთ ვალდებულებას, გარკვეული პერიოდულობით შეამოწმოს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ღირებულება და უზრუნველყოს ღირებულების არმქონე ინფორმაციის განადგურება.⁸⁴ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ამოცანების შესასრულებლად ღირებულების არმქონე ინფორმაცია ნადგურდება ზედამხედველი მოსამართლის თანდასწრებით, რასთან დაკავშირებითაც დგება ოქმი.⁸⁵ თუმცა, გაურკვეველია, თუ რა პერიოდულობით ევალება სამსახურს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დახარისხება და კონტრდაზვერვითი საქმიანობისთვის ღირებულების არმქონე ინფორმაციის განადგურება. ასევე გაუგებარია, თუ რა ვადით ინახავს სამსახური კონტრდაზვერვითი საქმიანობისთვის ღირებულების მქონე ინფორმაციას.

ინფორმაციის დახარისხების, შენახვისა და განადგურების კონკრეტული ვადების განსაზღვრისა და მათი შესრულების კონტროლის მექანიზმის გარეშე, მაღალია ინფორმაციის გაუმართლებლად ხანგრძლივი ვადით შენახვის რისკი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო მაგალითებზე მიუთითებს 12 სექტემბერს გავრცელებული მასალები, რომლებშიც ჯერ კიდევ 2013 წლიდან დაწყებული მიყურადების შემთხვევებია ასახული.

⁸² „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14³ მუხლის 1-ლი პუნქტი

⁸³ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14³ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

⁸⁴ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁹ მუხლის მე-2 პუნქტი

⁸⁵ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁹ მუხლი

კანონი ითვალისწინებს უზოგადეს დათქმას იმის შესახებ, რომ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მიღებული/მოპოვებული ინფორმაციის სათანადო დაცვისათვის პასუხისმგებელი არიან ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო და სამსახური.⁸⁶ თუმცა, ბუნდოვანია, ვინ აკონტროლებს ამ ვალდებულების შესრულებას და რა სახის პასუხისმგებლობა დგება მისი დარღვევის შემთხვევაში. იქიდან გამომდინარე, რომ **არ არსებობს ზედამხედველობის სისტემა**, რომელიც უზრუნველყოფდა ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების კანონიერების კონტროლს, *ეჭვემ დგება სამსახურისა და სააგენტოს პასუხისმგებლობის რეალური ბერკეტის არსებობა.*

7. კონტროლის მექანიზმები

ელექტრონული თვალთვალის მარეგულირებელი სამართლებრივი რეჟიმის ზემოთ განხილული ხარვეზების ფონზე, აშკარაა ამ ღონისძიების ჩატარებისა და მონაცემთა შემდგომი დამუშავების კანონიერებაზე ეფექტური კონტროლის არსებობის საჭიროება. ეს კიდევ უფრო ცხადი ხდება სააგენტოს ხელში კომუნიკაციების რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის არსებობის პირობებში, რაც ზრდის სასამართლოს გვერდის ავლით, კომუნიკაციების არასანქცირებული მონიტორინგის რისკებს.

7.1 სასამართლო კონტროლი

სსსკ-სგან განსხვავებით, რომლის ფარგლებშიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასა და მის შედეგად მოპოვებული მონაცემების დამუშავების კანონიერებას დამატებით აკონტროლებს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი, კონტრდაზვერვითი სამიანობის მიზნით ჩატარებულ ელექტრონულ თვალთვალზე არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის მანდატი.⁸⁷ კონტრდაზვერვითი სამიანობის ფარგლებში ჩატარებულ ელექტრონულ თვალთვალზე გარე კონტროლის ერთადერთ მექანიზმს წარმოადგენს ზედამხედველი მოსამართლე, რომელმაც გასცა ელექტრონული თვალთვალის ნებართვა.

⁸⁶ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14² მუხლის მე-3 პუნქტი

⁸⁷ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი

კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების **აღსრულების პროცესს ზედამხედველი მოსამართლე აკონტროლებს** კონტროლის ელექტრონული სისტემისა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით.⁸⁸ აღნიშნული სისტემები მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს შეამოწმოს მიეს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე ელექტრონული თვალთვალის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, ასევე შეადაროს ინიცირებულ/განხორციელებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემები შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს.⁸⁹ ღონისძიების დასრულების შემდეგ ზედამხედველ მოსამართლეს წარედგინება ანგარიში ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესახებ და შესაბამისი ოქმის ეგზემპლარი.⁹⁰

გარდა ამისა, *ზედამხედველ მოსამართლეს შეუძლია, სამსახურს მოსთხოვოს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციისა და ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის წარდგენა*, რომელსაც იგი განიხილავს დახურულ სასამართლო სხდომაზე, სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ზედამხედველი მოსამართლე უფლებამოსილია, გასცეს ბრძანება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შეწყვეტის შესახებ, თუ იგი მიიჩნევს, რომ არსებობს გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, მოსამართლის ბრძანებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ღონისძიების განხორციელებას კონტრდაზვერვითი ინფორმაციის მოპოვებისთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.⁹¹

კანონი ითვალისწინებს უზოგადეს დათქმას, რომლის თანახმადაც, მოსამართლეს შეუძლია *ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს მოსთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტებები* კონტროლის პროცესში გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით და ამ ახსნა-განმარტებების საფუძველზე *მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ინიცირების შესახებ*.⁹² თუმცა, გაწერილი არ არის რას წარმოადგენს ის „ცალკეული საკითხები“, რომლებიც მოითხოვს მოსამართლის მხრიდან შესაბამის რეაგირებას და რა რეაგირების მექანიზმების გამოყენება იქნება ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი.

ამრიგად, ზედამხედველი მოსამართლის მაკონტროლებელი ფუნქცია შემოიფარგლება კონკრეტული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების მიმდინარეობის მონიტორინგით, ასევე იმ ინფორმაციის ანალიზით, რომელსაც მოთხოვნის

⁸⁸ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი

⁸⁹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14⁶ მუხლის 1-ლი პუნქტი

⁹⁰ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14⁵ მუხლის მე-2 პუნქტი

⁹¹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14⁵ მუხლის 1-ლი პუნქტი

⁹² „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14⁶ მუხლის მე-5 პუნქტი

საფუძველზე თავად ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო წარუდგენს. ამის მიღმა, არც მოსამართლის და არც რომელიმე სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში არ შედის სააგენტოს ტექნიკური ინფრასტრუქტურის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური ინსტრუქციების შემოწმება, სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალებში შესვლა, სააგენტოს ან/და სამსახურის მიერ ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და განადგურების წესების დაცვაზე კონტროლი. შესაბამისად, ზედამხედველი მოსამართლის კონტროლის ფარგლები შეზღუდულია და ვერ უზრუნველყოფს მოსამართლის ბრძანების გარეშე ელექტრონული თვალთვალის განხორციელებისა და ელექტრონული თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის უკანონო დამუშავების რისკების დაზღვევას.

7.2 საპარლამენტო კონტროლი

უსაფრთხოების სექტორის საქმიანობის კონტროლისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, დამატებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვიწროდ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების კონტროლის მექანიზმების, არამედ მთლიანად სამსახურისა და სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობის გამართული სისტემის შექმნა.

უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობა შესაძლოა განხორციელდეს საპარლამენტო, სასამართლო ან/და ექსპერტული ორგანოების კონტროლის ფორმით.⁹³ დასავლეთის ქვეყნებმა 70-იან და 80-იან წლებში მასობრივად დაიწყეს უსაფრთხოების სამსახურების საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შექმნა, რომელთაც⁹⁴ აქვთ ფართო უფლებამოსილებები როგორც უსაფრთხოების სამსახურების მანდატისა და ბიუჯეტის განსაზღვრის, ისე მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის კონტროლის კუთხით.⁹⁵

თავის მხრივ, უსაფრთხოების სამსახურების საპარლამენტო ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს *გენერალური*⁹⁶ ან/და *სპეციალიზებული* კომიტეტების მიერ. სპეციალიზებული კომიტეტები, როგორც წესი, სრულფასოვანი კომიტეტების სახით

⁹³ EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), UPDATE OF THE 2007 REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF THE SECURITY SERVICES AND REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF SIGNALS INTELLIGENCE AGENCIES, 2015, pp. 6-7, ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2015\)006-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)006-e), წვდომის თარიღი: 17.09.2021.

⁹⁴ Parliamentary Monitoring Mechanism on Intelligence Agencies, Research and Library Services Division, Legislative Council Secretariat, 1995, RP03/95-96, p. 1, ხელმისაწვდომია: <https://www.legco.gov.hk/yr97-98/english/sec/library/956rp03.pdf>, წვდომის თარიღი: 17.09.2021.

⁹⁵ DCAF background, Parliamentary Oversight of Intelligence Services, 2006, p. 1, ხელმისაწვდომია: https://www.files.ethz.ch/isn/17436/background_07_intelligence_oversight.pdf, წვდომის თარიღი: 17.09.2021.

⁹⁶ აქ ძირითადად იგულისხმება ე.წ. „გადაფარვადი იურისდიქციის“ მქონე კომიტეტები, როგორებიცაა შინაგან საქმეთა, უსაფრთხოების, იუსტიციის, თავდაცვის, ადამიანის უფლებათა, ასევე საბიუჯეტო და საფინანსო კომიტეტები ფინანსების ხარჯვის ნაწილში.

იქმნებიან და მათი მანდატი, მოიცავს უსაფრთხოების სექტორის ერთი ან ორი ორგანოს კონტროლს. საპარლამენტო და არასაპარლამენტო ზედამხედველობის კარგ კომბინაციას ქმნის ე.წ. „ჰიბრიდული ორგანოები“, რომელშიც გაერთიანებული არიან როგორც სფეროს ექსპერტები ისე მოქმედი ან ყოფილი პოლიტიკოსები.⁹⁷ პოლიტიკური კონტროლი ყველაზე უკეთ თავად პარლამენტის მხრიდან ხორციელდება, თუმცა დამატებითი სარგებელია შესაბამისი საქმის ექსპერტების ჩართულობაც.⁹⁸

უსაფრთხოებისა და დაზვერვის ორგანოების ზედამხედველობის მიზნით ხშირად იქმნება ასევე სპეციალიზებული არასაპარლამენტო კომიტეტები/კომისიები (ე.წ. „ექსპერტული საზედამხედველო ორგანოები“ ('expert' oversight bodies)).⁹⁹ ასეთი ორგანოები ან კომიტეტების სახით არსებობენ, ან ინდივიდუალური კომისიების სახით, რომლებსაც სტაფი ეხმარება. მსგავსი ტიპის ორგანოები ორგანიზაციულადაც და მოქმედების თვალსაზრისითაც დამოუკიდებელი არიან როგორც პარლამენტის, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. ისინი ავტონომიურად იღებენ გადაწყვეტილებებს, მათ შორის საგამოძიებო საქმიანობის განხორციელების თემატიკასა და ანგარიშების თაობაზე, ხოლო ბიუჯეტს, როგორც წესი, პარლამენტი ამტკიცებს. ექსპერტული ორგანოები, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფენ უფრო მეტ კვლევას და აქვთ მეტი დრო, რათა გააკონტროლონ უსაფრთხოებისა და დაზვერვის ორგანოები. ამასთან, მცირდება პოლიტიკური მანიპულაციების რისკი, რაც საკმაოდ მოსალოდნელია საპარლამენტო კომიტეტებში.¹⁰⁰

საქართველოში უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის მიზნით არ შექმნილა არც ექსპერტული და არც ჰიბრიდული ორგანო. ერთადერთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც გათვალისწინებულია ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე საიდუმლო საქმიანობის კონტროლი არის პარლამენტში შექმნილი ნდობის ჯგუფი, რომელიც გამოტანილია სტანდარტული (გენერალური) საპარლამენტო კომიტეტიდან. ის არც მრავალ ქვეყანაში გავრცელებული სპეციალიზებული კომიტეტის სახით არსებობს (ფუნდამენტურად განსხვავებულია მისი დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების გზები). შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, რამდენად მოიცავს ნდობის ჯგუფის საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ჩარჩო საკმარის გარანტიებს, მის მიერ სრულფასოვანი საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისთვის.

⁹⁷ EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF THE SECURITY SERVICES, 2015, p. 7, ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2015\)010-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)010-e), წვდომის თარიღი: 17.09.2021.

⁹⁸ Aidan Wills and Mathias Vermeulen, Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union, European Parliament, Brussels, 2011, p. 34.

⁹⁹ EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF THE SECURITY SERVICES, 2015, p. 38.

¹⁰⁰ იქვე, p. 50.

7.2.1 ნდობის ჯგუფი

ნდობის ჯგუფთან მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტიკა უკავშირდება მის მანდატს, კერძოდ კი იმ ფაქტს, რომ მას არ შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის კონტროლი.¹⁰¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ადინშნულია, რომ „ნდობის ჯგუფი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საიდუმლო საქმიანობასა და სპეციალურ პროგრამებს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის ფარულ ფორმებსა და მეთოდებთან.“¹⁰² ეს მოცემულობა განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო დონეზე არ არსებობს სხვა ორგანო, რომელსაც მსგავსი ტიპის ინფორმაციაზე წვდომა ექნებოდა. მაშასადამე, ამ ტიპის მოქმედებებზე საპარლამენტო კონტროლი მთლიანად გამორიცხულია.

ამრიგად, ნდობის ჯგუფს უფლება აქვს უსაფრთხოების სამსახურებიდან გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, თუმცა ეს ვერ იქნება დაკავშირებული საქმიანობის ფარულ ფორმებთან და მეთოდებთან (მათ შორის ეს ეხება ნორმატიულ აქტებსაც).¹⁰³ სამსახურებს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ მიმდინარე საქმეებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებაზე თუ ჩათვლიან, რომ ინფორმაციის გაცემა არ შედის ეროვნული/საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესებში.¹⁰⁴ აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, ფარულ მოქმედებებსა და ოპერაციებზე კონტროლი, მეტ-ნაკლები შეზღუდულობის პირობებში, გავრცელებული მოვლენაა. საზოგადოდ, განასხვავებენ დასრულებულ, მიმდინარე და სამომავლო ოპერაციებს. ტერმინი „ოპერაციები“ ამ შემთხვევაში ნიშნავს სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებას კომუნიკაციების „ხელში ჩასაგდებად“, გასაიდუმლოებულ საქმიანობას და ადამიანური რესურსების გამოყენებას, ასევე ინფორმაციის გაზიარებას შიდა და უცხოურ ორგანოებთან.¹⁰⁵ შესაბამის სპეციალიზებულ კომიტეტებს, ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში, შეუზღუდავი წვდომა აქვთ დასრულებულ ოპერაციებზე.¹⁰⁶ მიმდინარე და სამომავლო ოპერაციებთან დაკავშირებით, უფრო ხშირია ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა ან მისგან სრული

¹⁰¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-3 პუნქტი; ნათია სვანიძე, გვანცა ჯიქია და სხვები, ოცი წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე, მეორე გამომუშავებული გამოცემა, 2019, გვ. 89.

¹⁰² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁰³ გიორგი ალავერდშვილი, თორნიკე გერლიანი და სხვები, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, 2020, გვ. 63.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 63; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-3 პუნქტი

¹⁰⁵ Aidan Wills and Mathias Vermeulen, Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union, European Parliament, Brussels, 2011, p. 130.

¹⁰⁶ იქვე, pp. 155-156.

გამორიცხვა.¹⁰⁷ როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ფარული მოქმედებების არც ერთ ეტაპზე ნდობის ჯგუფის წევრებს წვდომა არ აქვთ.

არსებული კონტექსტის და საქართველოში წლების განმავლობაში მოსმენებისა და ფარული თვალთვალის არაერთი მანკიერი და სისტემური პრაქტიკის გათვალისწინებით, ეს საკანონმდებლო ჩარჩო კიდევ უფრო პრობლემურად წარმოიჩინდება. სახელწმიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოზე არ ვრცელდება ნდობის ჯგუფის მანდატი, რომ „მიიღოს მასალები და წინა წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ ანგარიში, ასევე ინფორმაცია საიდუმლო შესყიდვების თაობაზე.“¹⁰⁸ სააგენტო ნდობის ჯგუფს წელიწადში ერთხელ წარუდგენს მხოლოდ გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.¹⁰⁹ ნდობის ჯგუფს მართალია აქვს სააგენტოს-ს შემოწმების მანდატი, თუმცა ამის გაკეთება შეუძლია არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.¹¹⁰ ამასთან, ბუნდოვანია თუ რა ფაქტობრივ შესაძლებლობებს მოიცავს ამ უკანასკნელი საფუძვლით „სააგენტოს შემოწმება.“

პრობლემურია ისიც, რომ საკანონმდებლო ორგანოში ზოგადად საიდუმლო ინფორმაციაზე მხოლოდ ნდობის ჯგუფის წევრებს მიუწვდებათ ხელი. ევროპის ქვეყნებში გავრცელებული მიდგომით, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის უფლება ან ყველა დეპუტატს აქვს, ან შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის წევრებს.¹¹¹ შემთხვევები, როცა ეს პრივილეგია უკიდურესად ვიწრო ჯგუფის ხელშია ან არც ერთ პარლამენტარს არ აქვს, ძალიან იშვიათია და საუკეთესო სტანდარტად ვერ ჩაითვლება.¹¹²

ექსკლუზიურად ნდობის ჯგუფისთვის, რომელიც წარმომადგენლობითი ხარისხის სიმწირით ხასიათდება და დეპუტატთა ვიწრო ჯგუფს აერთიანებს (5 წევრი), საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის პრივილეგიის მინიჭება გაუმართლებლად ამცირებს უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების დონეს. მიიჩნევა, რომ უმჯობესია ნდობის ჯგუფის ნაცვლად საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნას სრულყოფილი სპეციალიზებული კომიტეტი უსაფრთხოების სამსახურის ზედამხედველობის მიზნით, რომელიც უფრო ფართო წარმომადგენლობითი შინაარსის იქნება და საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის უფლებაც მის ყველა წევრს ექნება.¹¹³ ეს მიდგომა შუალედური

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ ნათია სვანიძე, გვანცა ჯიქია და სხვები, ოცი წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე, მეორე გამომუშავებული გამოცემა, 2019, გვ. 89;

¹⁰⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-9 და პუნქტი.

¹¹⁰ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 159-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

¹¹¹ Aidan Wills and Mathias Vermeulen, Parliamentary oversight of security and intelligence agencies in the European Union, European Parliament, Brussels, 2011, p. 147.

¹¹² სხვადასხვა დონის საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით, ირლანდია იშვიათი გამონაკლისია, სადაც არც ერთ პარლამენტარს არც ერთი დონის საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის უფლება არ აქვს. იქვე.

¹¹³ ნათია სვანიძე, გვანცა ჯიქია და სხვები, ოცი წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე, მეორე გამომუშავებული გამოცემა, 2019, გვ. 97.

და უფრო ფრთხილი გამოსავალია იმ გზასთან შედარებით, რომელიც ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ აირჩია და სადაც საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის უფლება თითოეულ დეპუტატს აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციური აპარატის ყოლას, მისი როლისა და უფლებამოსილებების სათანადოდ რეგლამენტირებას.

ზემოთქმულის გარდა, ნდობის ჯგუფის საქმიანობის მომწესრიგებელ ნორმებში სხვა პრობლემებიცაა, რომელიც მის საქმიანობას კიდევ უფრო არაეფექტიანს ხდის. ნდობის ჯგუფის შეკრებას და ფუნქციონირებას პერიოდული ბუნება კი არ აქვს (როგორც, მაგალითად, ეს არის კომიტეტების შემთხვევაში), არამედ მას საჭიროებისამებრ იწვევს და წარმართავს ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე.¹¹⁴ ეს, ბუნებრივია, ზრდის როგორც პოლიტიკური მანიპულაციის, ასევე სხდომების მოწვევის არაგონივრულად დიდი ხსნით გადავადების რისკებს.

ნდობის ჯგუფს უფლება აქვს უწყებებში განახორციელოს ვიზიტებიც.¹¹⁵ თუმცა, ეს უფლებამოსილება, არსებული რეგულაციების პირობებში, რთულად თუ გამოდგება ეფექტიანი კონტროლის მექანიზმად. გარდა იმისა, რომ ნდობის ჯგუფის წევრ(ებ)ს ამ უფლებამოსილების გამოსაყენებლად ჯგუფის თავმჯდომარის თანხმობა ესაჭიროება(თ), შესაბამის უწყებას წინასწარი შეტყობინებაც უნდა გაეგზავნოს.¹¹⁶ ეს მიდგომა პრობლემურია იმ მიზეზით, რომ საერთოდ აქრობს მოულოდნელობის ეფექტს, რაც ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.¹¹⁷

7.2.2 ყოველწლიური ანგარიში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ზედამხედველობის დამატებითი კომპონენტია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ან მისი მოადგილის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის ყოველწლიურად წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ საჯარო ანგარიშის წარდგენა. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე აფასებს პარლამენტი სამსახურის საქმიანობას და განსაზღვრავს რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომელთა აღსრულებასაც ზედამხედველობს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი. შესაბამისად, სწორედ ყოველწლიური ანგარიშის გამოკვლევა და ანალიზი შეიძლება გახდეს სამსახურის და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის პოლიტიკური შეფასების საფუძველი.

¹¹⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹¹⁵ იქვე, 159-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

¹¹⁶ იქვე.

¹¹⁷ გიორგი ალავერდაშვილი, თორნიკე გერლიანი და სხვები, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, 2020, გვ. 65.

თუმცა, სამსახურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში განზოგადებული ხასიათის დოკუმენტია და ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ფარულ ფორმებსა და მეთოდებზე კონტროლის შესაძლებლობას. ამასთან ამ ანგარიშის წარდგენა შეუძლია სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილესაც. იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროცედურა არსებითია სამსახურის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხის განსასაზღვრად და დასაყენებლად, მნიშვნელოვანია, რომ მისი წარდგენის ვალდებულება სწორედ მას ჰქონდეს.¹¹⁸

8. შეტყობინების ვალდებულება

სამსახური ვალდებულია პირს მის მიმართ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ წერილობით შეატყობინოს მას შემდეგ, რაც ამგვარი შეტყობინება საფრთხეს აღარ შეუქმნის იმ მიზანს, რომლისთვისაც ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება განხორციელდა. ამ ინფორმაციასთან ერთად პირს მიეწოდება ზედამხედველი მოსამართლის ბრძანება მის მიმართ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ, მონაცემები ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თაობაზე და ინფორმაცია მისი განადგურების შესახებ, აგრეთვე მასალა, რომლის საფუძველზედაც ზედამხედველმა მოსამართლემ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, და განემარტება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹¹⁹

პირისთვის მის მიმართ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ შეტყობინება დაუშვებელია, თუ შეტყობინებლობა აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების და დემოკრატიული წყობილების ინტერესების დასაცავად ან ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ან მის მოსაპოვებლად გამოყენებული მეთოდების გამჟღავნება საფრთხეს შეუქმნის სამსახურის მიერ კონტრდაზვერვითი საქმიანობის ამოცანების შესრულებას. პირისთვის მის მიმართ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ წერილობით შეტყობინების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის ხელმძღვანელი ზემოაღნიშნული განსაზღვრული გარემოებების გათვალისწინებით.¹²⁰

კონტრდაზვერვის სფეროში, პირის მიმართ განხორციელებული თვალთვალის შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა თავისთავად

¹¹⁸ გიორგი ალავერდაშვილი, თორნიკე გერლიანი და სხვები, საპარლამენტო კონტროლი კონსტიტუციისა და რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, 2020, გვ. 99.

¹¹⁹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹⁰ მუხლი

¹²⁰ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹⁰ მუხლი

დაუშვებელ პრაქტიკად არ მიიჩნევა. მაგალითად, საქმეზე *Klass and Others v. Germany*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაძლებელია ასეთი გამონაკლისის დაშვება გამართლებული იყო იმ პირობებში, როდესაც მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა პარლამენტში შექმნილი კომისია, რომელიც აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს.¹²¹

საქართველოში იმის გადაწყვეტა, მოხდეს თუ არა პირის შეტყობინება, ექცევა ექსკლუზიურად სამსახურის უფროსის კომპეტენციაში. სამსახურის უფროსის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს არ აზღვევს ნეიტრალური ორგანო, რის გამოც, პირმა შესაძლოა ვერასდროს შეიტყოს მის მიმართ განხორციელებული თვალთვალის შესახებ.

9. სამართლებრივი დაცვის მექანიზმები

იმ პირობებში, ელექტრონული თვალთვალის განხორციელების თაობაზე პირისათვის შეტყობინების შესახებ გადაწყვეტილებას თავად სამსახური იღებს, დამოუკიდებელი ორგანოს კონტროლის გარეშე, ეჭვქვეშ დგება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების გასაჩივრების, როგორც ინდივიდის უფლების დაცვის მექანიზმის ეფექტურობა.

გარდა ამისა, წინააღმდეგობრივია კანონის ნორმები ელექტრონული თვალთვალის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე. ერთის მხრივ, კანონი ადგენს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება ელექტრონული თვალთვალის განხორციელების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარყოფის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.¹²² მეორეს მხრივ კი, განსაზღვრავს, რომ ელექტრონული თვალთვალის განხორციელების შესახებ პირის შეტყობინების შემდეგ მას განემარტება თვალთვალის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.¹²³ ამ პირობებში, გაურკვეველია, რა სამართლებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას იძლევა პირის მიერ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შესახებ შეტყობინება.

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, აქვს თუ არა პირს უფლების დაცვის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუკი მას არ მიუღია მის მიმართ ელექტრონული თვალთვალის ჩატარების შესახებ შეტყობინება. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კონკრეტულ მექანიზმს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს ეჭვი, რომ მის მიმართ ხორციელდება ელექტრონული თვალთვალი შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი

¹²¹ *Klass and others v. Germany*, no. 5029/71, 6 September 1978

¹²² „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი

¹²³ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹⁰ მუხლი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის მიზნით. არც ისაა განსაზღვრული, ვის დაეკისრება ასეთ შემთხვევაში იმის მტკიცების ტვირთი, ნამდვილად გახდა თუ არა პირი ელექტრონული თვალთვალის ობიექტი. სოციალური სამართლიანობის ცენტრისათვის ცნობილი არ არის არცერთი საქმის შესახებ, როდესაც პირმა მოახერხა მის მიმართ განხორციელებულ ელექტრონულ თვალთვალთან დაკავშირებით სასამართლო გზით დავა. ასეთი საკანონმდებლო ვაკუუმისა და სასამართლო პრაქტიკის არარსებობის ფონზე, თავად სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება წარმოაჩინოს, ელექტრონული თვალთვალის სუბიექტის მიერ უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმების არსებობა.

დასკვნა

12 სექტემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან სავარაუდო მასობრივი უკანონო მოსმენების პრაქტიკის გამოაშკარავებამ კიდევ ერთხელ აჩვენა უსაფრთხოების სექტორისა და ფარული მიყურადების სამართლებრივი რეჟიმის ფუნდამენტური რეფორმის საჭიროება. ელექტრონული თვალთვალის სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში პირადი ცხოვრების გაუმართლებელი ხელყოფის რისკები დიდწილად თავად არასრულყოფილი საკანონმდებლო მოწესრიგებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინსტიტუციური მოწყობა ვერ უზრუნველყოფს მისი პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლებას. მის დაქვემდებარებაში არსებული ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოს ხელში კომუნიკაციების მონიტორინგის დაუბალანსებელი შესაძლებლობის თავმოყრა კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან ტოტალური კონტროლის საფრთხეებს აჩენს.

სსსკ-ისგან განსხვავებით, რომელიც მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის გარანტიებს, კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი შეიცავს არსებით ხარვეზებს კომუნიკაციების მონიტორინგის როგორც დაწყების, ისე მისი მიმდინარეობისა და დასრულების ეტაპზე. კერძოდ:

- კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს ზედმეტად ფართო საფუძვლებს ფარული მოსმენებისთვის და იძლევა ამ ღონისძიების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესაძლებლობას. ასევე პრობლემურია მის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების წესები, მათ შორის ინფორმაციის საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაცემის უფლებამოსილება;
- უკიდურესად სუსტია კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ფარულ მოსმენებსა და მიყურადებაზე გარე კონტროლის და ანგარიშვალდებულების

მექანიზმები. აგრეთვე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე ეფექტური კონტროლის შესაძლებლობას აფერხებს მისი სრული დახურულობა.

- უფლების სასამართლოს გზით დაცვის მექანიზმს აზრს უკარგავს სამსახურის უფროსის ერთპიროვნული უფლებამოსილება, არ შეატყობინოს ელექტრონული თვალთვალის ობიექტს მის მიმართ თვალთვალის განხორციელების შესახებ.